საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 30 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა [illegible] პასკევიჩის ქ. № 3 მეორე [illegible] თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 11 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 11

## [კ]ოლონიალური საკითხი

[...] ნაციონალური საკითხი ერთ და განუყოფელ ტერიტორიაზე მოსა[...] სხვა და სხვა ერების (მპყრობელ და [...]რულ ერების) ურთიერთობას ეხე[...] [...]ოლონიალური საკითხი ეხება კაპი[...]სტურ და ნატურალურ, ანუ მო[...]ე და ჩამორჩენილ ქვეყნების ურ[...]თობას.

[...]იტალისტური ან მოწინავე ქვეყ[...] დასავლეთი ევროპა და ამერიკა, [...]რალური ან ჩამორჩენილი ქვეყნე[...]ედამიწის თითქმის ყველა სხვა ნა[...]ბი. ჩამორჩენილი ქვეყნები ბევრათ [...]ობენ დაწინაურებულებს თავისი [...]ტორიის სიდიდით, მცხოვრებთა [...]ვლით და ნედლი მასალის სიმდი[...]. მიუხედავათ ამისა, ისინი სავ[...] არიან დამორჩილებული დაწინა[...]ულ ქვეყნების მიერ და მათ საწ[...]ფურს წარმოადგენენ.

[...]ლონიების საკითხი სამკვდრო-სასი[...]ლო საკითხია კაპიტალისტურ ქვე[...]ბისათვის, ისინი უკოლონიებოთ თავს [...]გაიტანენ. კოლონიები წარმოადგე[...] [ნე]დლი მასალის წყაროს, რომლი[...] დაუზოგავათ სარგებლობენ კაპი[...]ლისტური ქვეყნები და ქმნიან თავის [...]ნალურ სიმდიდრეს.

[...]ლონიების ასეთ ეკონომიურ მნიშვ[...]ბას სრულიათ არ შეეფერება მათი [...]დრო-სამხარი ძლიერება და მათ [...] იმორჩილებენ „კულტუროსა[...] ქვეყნები თავისი თოფ-ზარბაზნებით. [...] თუ თავისთავათ კოლონიების და[...]ბა ადვილია, მეტათ ძნელია მათი [...]ფა და განაწილება კაპიტალისტურ [...]ებს შორის. ჩაღდება დიპლომატი[...] ბრძოლა და სისხლისმღვრელი ომე[...]ა თვით კოლონიებთან, რომლებ[...] როგორც გასაყიდ პირუტყვს, არა[...]რაფერს ეკითხება, არამედ თვით [...]ალისტურ ქვეყნებს შორის.

[...]ლონიების დაპყრობა-განაწილების [...]აგზე არსებობს მუდმივი კონფლიქ[...] [ე]ვროპიულ სახელმწიფოთა შორის [...] ნიადაგზე აღმოცენდა უკანასკნე[...] [...]იდი იმპერიალისტური ომი, რომ[...] ლიკვიდაცია ჯერაც არ მომხდარა. [...]ნ აშკარაა, რა მწვავეთ დგას კო[...]ალური საკითხი კაცობრიობის წი[...] და რა განსაკუთრებული ყურად[...] [...]ს ღირსია იგი, როგორც მეტათ [...]ი საერთაშორისო პრობლემა.

[...]როლეტარიატის განმათავისუფლებე[...] მოძრაობისთვის დიდი მნიშვნელობა [...] კოლონიალური საკითხის სათანა[...] გადაჭრას. მეორე ინტერნაციონა[...] კონგრესებზე რამდენჯერმე იყო ეს [...]თხი დასმული და წარმოიდგინეთ, [...]ლმოჩნდა საკმაოთ ძლიერი მიმდი[...]ობა, რომელიც პრინციპიალურათ [...]უთებდა და ამართლებდა კოლონია[...]ი, ე. ი. დაპყრობითი პოლიტიკის [...]ოებას კაპიტალისტური სახელმ[...]ოების მიერ. ფარულათ ამ შეხედუ[...]ს მეორე ინტერნაციონალის დიდი [...]ვლესობა იზიარებდა და კიდეც [...]ა ამ უკანასკნელის სამარცხვინო [...]ის უმთავრესი მიზეზი.

[...]თი შეხედულობით, კაპიტალისტურ[...] [ქ]ვეყნებმა უეჭველათ უნდა გამოიტა[...] კოლონიების სიმდიდრე, რომელსაც [...]კანასკნელები თითონ ვერ ხმარობენ. [...]ლიზაციამ უნდა დაიმორჩილოს ბარ[...]სობა, მოწინავე ქვეყნებმა უნდა [...]იყენონ ჩამორჩენილი ქვეყნები—აი [...]ი ლოზუნგით გამოვიდნენ კოლონია[...]ი პოლიტიკის მომხრეები. ამას ისი[...]მ მოსაზრებით ასაბუთებენ, რომ [...]ონიების ექსპლოატაცია საბოლო[...] სასარგებლოა არა მარტო კაპი[...]ისტური ქვეყნებისათვის, რომლე[...] აქედან ნედლ მასალას შოულობენ [...]ს ფაბრიკა-ზავოდებისათვის, არა[...] [...]ის სასარგებლოა თვით კოლონიებისთვისაც, რომლებსაც დამუშავებული მასალა მზა-მზარეულათ მიუვათ.

ამ აზრს იზიარებენ არა მარტო მპყრობელი ნაციებიდან გამოსული ზოგი სოციალისტები, არამედ თვით დაჩაგრულ ერებიდან გამოსულნიც, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ ჩამორჩენილი ერების ცხოვრება, თუ განათლებული ხაზეინი არ ეყოლა მათ სათავეში.

ისინი განგებ არ ხედავდენ, თუ რა ძვირათ უჯდებოდა კოლონიების მცხოვრებ უკულტურო ერებს განათლებულ ევროპიელების ლაგამახსნილი თარეში ამ კოლონიებში.

პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტია სავსებით უარყოფს ასეთ შეხედულობას და აქ ის ხელმძღვანელობს არა სანტიმენტალიზმით და ბარბაროსერებისადმი მხოლოთ სიბრალულის გრძნობით, არამედ ეკონომიური განვითარების ინტერესებით. კითხვა ისმება, სასარგებლოა თუ არა კოლონიალური პოლიტიკა საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის?

ჩვენ ორნაირათ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი: რა გავლენას ახდენს საწარმოვო ძალთა განვითარებაზე კოლონიალური პოლიტიკის წარმოება თვით კოლონიებში და როგორ მოქმედებს იგი თვით მის მწარმოებელ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეგრეთ წოდებულ მეტროპოლიაში.

პირველი კითხვის გათვალისწინების დროს ზერელე თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ თვალწინ დაგვიდგეს ის გამოუთქმელი საშინელება, რომელსაც [illegible] კოლონიებში იწვევს. მთელი ბუნებრივი სიმდიდრე კოლონიებისა ნადგურდება, რადგან უცხო, შემოსეული ელემენტები იჩქარიან რაც შეიძლება მალე გამოსწოვონ მას ყოველი სასიცოცხლო ძალები და უზრუნველყონ თავისი გამდიდრება ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან. სულ მციე ხანში ასეთი ექსპლოატაცია აუცილებლათ იწვევს ადგილობრივ ბუნებრივ ძალთა სრულ გამოფიტვას და განიავებას, რაც საბოლოვოთ ნიშნავს იმავე საწარმოვო ძალთა განადგურებას. ჩვენ აღარას ვამბობთ იმ საშინელ ჩაგვრა-შევიწროებაზე, რომელსაც განიცდიან ადგილობრივი „ბარბაროსი"— მკვიდრნი მოსულ — „კულტურ[ოს]ნთა" უხეში ძალისაგან, რაც იწვევს მათ პირდაპირ ფიზიკურ ამოწყვეტას და გადაშენებას. ევროპის ნაქები ცივილიზაცია საერთოთ იქ შედის სპირტის, ვენერიული ავათმყოფობის და სხვა „კულტურულ" სიკეთეთა სახით.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ უწყობს ხელს საწარმოვო ძალთა განვითარებას. პირიქით ეს ამ ძალების უაზრო და უწყალო განადგურება და გაფლანგვაა.

თვით მეტროპოლიისთვის ასეთი ექსპლოატაცია კოლონიებისა ქმნის ისეთ პირობებს, რაც მეტათ საზარალოთ მოქმედებს მის მუშათა კლასზე, იმ კლასზე, რომელიც საწარმოვო ძალთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, საყურადღებო და სათუთი ძალაა. გარდა ამისა, ტეხნიკის განვითარების ნაცვლათ, რომელმაც მეტროპოლიაში უნდა აანაზღაუროს ადგილობრივ ბუნებრივ ძალთა გამოლევა, ჩვენ ვხედავთ გაბატონებულ კლასების მხრით მხოლოთ და მხოლოთ თოფ-ზარბაზნებზე დაყრდნობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ როგორც გარეშე ბაზრები, ისე შინაური „წესრიგი" და „მშვიდობიანობა".

ასეთი პოლიტიკის ხელის შეწყობა სოციალისტების და თვით მუშათა კლასის მხრით იმით აიხსნება, რომ მის „ზევითა" ნაწილებს ცოტა რამ ნამცეცები ხვდება სხვა ქვეყნებიდან მოტაცებულ სიმდიდრიდან. საბოლოვოთ ასეთი გარყვნა მუშათა კლასის ნაწილისა ნიშნავს მთელი კლასის უფრო ხანგრძლივათ დამორჩილებას და დამონებას.

პირიქით, კოლონიალური პოლიტიკის სრულიათ მოსპობა და კოლონიების სრულიათ განთავისუფლება უცხო „განმანათლებელთა" შემავიწროებელ ოპეკიდან ერთი მხრით გზას გაუხსნიდა თვით კოლონიებში ადგილობრივ საწარმოვო ძალთა საკუთარი გზით განვითარებას (იმავე ევროპიული კაპიტალის შემწეობით და დახმარებით და არა ძალდატანებით და გაყვლეფით) და მეორე მხრით თანამედროვე პირობებში ევროპიელ კოლონიზატორებს და იმპერიალისტებს შესდენიდა თავის უმთავრეს ბუნაგში და აშკარათ დაუპირდაპირებდა თავის მშრომელ კლასს. აქ ისინი იძულებული შეიქნებოდენ ან კვლავ ადგილობრივი ძალების შემდეგი და შეუწყვეტელი განვითარებისათვის შეეწყოთ ხელი, და ან სავსებით ხელი აეღოთ ექსპლოატატორების როლზე.

მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, რომელიც შესდგება ივლისში და სადაც დასმულია ეს საკითხი, უეჭველია გადაწყდება იგი იმ აზრით, რომ სავსებით დაგმობილ იქნება კოლონიალური პოლიტიკა, რომელსაც აქტიურათ უნდა შეებრძოლოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, როგორც საწარმოვო ძალთა განვითარების, ისე მთლათ სოციალიზმის ინტერესებისათვის.

---

## «ახილი» კლარა ცეტკინა და «ევროპიელი» ბ-ნი თეკლათელი

„Два шага налево, два шага направо,
шаг вперед, шаг назад!!

ჩვენს წერილს „ქართველი მენშევიკები და ინტერნაციონალი" გამოეხმაურა ბ-ნი ბ. თეკლათელი გამოეხმაურა მხოლოდ... დასმულ კითხვებზე კი (სწორეთ, რომ ვთქვათ—კითხვაზე) ის სრულიად არას უპასუხებს, მათ (კითხვებს) ჩვეულებრივათ გვერდს უვლის და, ჰეშმარიტად ლობე-ყორეს ედება. ჩვენ კითხვებზე შემდეგ. ახლა კი ბ. თეკლათელის ლობე-ყორეზეც შევჩერდეთ. ჩვენ არ გავექცევით დასმულ კითხვებს ისე, როგორც ამას გაურბის ბ-ნი თეკლათელი. გარდა ამისა, მართალი უნდა ვთქვათ, მისი ლობე-ყორე საკმაო საინტერესოც არის, რადგან იგი ააშკარავებს—თუ როგორი წინააღმდეგობაში ჩავარდენ ქართველი მენშევიკები. ბ-ნი თეკლათელი ლობეს „ლობავს" წყებულობს ინგლისიდან. თუმცა საკვირველია, რატომ დასჭირდა მას ეს. იგი მთელ ნახევარ წერილში გვიმტკიცებს, რომ ინგლისში მზად არის ნიადაგი „ეკონომიური რევოლიუციისათვის" (sic). „დაახლოვებით ასეთივე პირობებში იმყოფება ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფონიც"-ო— ამბობს ბ. თეკ—ლი და გვეკითხება: „პირდაპირ და არა მიკიბულ-მოკიბულათ გვიპასუხეთ, იზიარებს თუ არა ჩვენს (?!) შეხედულებას „კომუნისტი" თუ არა"-ო? საკვირველია, სწორეთ! ჩვენ, რაც ომი დაიწყო, მას შემდეგ განუწყვეტლივ ვამტკიცებთ, რომ დაიწყო ხანა სოციალისტური (თქვენ „ეკონომიურ რევოლიუციას" მე სოციალისტურათ ვთარგმნი; ასე გაუგე იგი მე;) რევოლიუციისა; მუშათა კლასი ყველა ქვეყნებში მზათ უნდა იყოს ამისთვის.

დღეს კი თქვენ გამომდგარხართ, ბ-ნო თეკ—თელო, და გვეკითხებით: „ჩვენს" შეხედულებას იზიარებთო"? ნუ თუ ისე გაგიტაცათ პატივმოყვარეობამ... რომ ამ შეხედულებას „ჩვენსას" უწოდებთ?!

ამ აზრს ბ-ნი თეკლათელი წერილის ბოლოში უფრო გარკვეულად და ნათლად იმეორებს: „ევროპის მუშების წინ **ძალა-უფლების ხელში აღების საკითხი დღის წესრიგში დგას**". ვაშა, ბ. თეკლათელო! მეტს რას ვამბობდით და ვამბობთ ჩვენ ევროპის მუშების შესახებ, გარდა იმისა, რომ მათ „ძალა უფლების საკითხი დღის-წესრიგში" დასვან?! მხოლოდ ერთი რამე გვინდა გაგახსენოთ... ამ ახლო წარსულიდან... სახელდობრ შემდეგი დებულება თქვენი მეთაურების, ნ. ჟორდანიასი, ი. წერეთლების, დევდარიანების და სხვ..: „ჩვენ სოციალიზმიდან ისე დაშორებული არას დროს ვყოფილვართ, როგორც ეხლა"-ო. დღეს კი თქვენ ასეთი „ბოლშევიკურ" დებულებას აყენებთ!! როგორღაც ვერ შემირიგებია ეს ორი დებულება; ერთის მხრივ: „მუშებისათვის ძალა უფლების საკითხი დღის წესრიგში დგას" და მეორე მხრივ: „ჩვენ არას-დროს არ ვყოფილვართ..." და სხვა.

როგორ ატყობთ, განა არ გავს პოზიციას—„шаг назад, шаг вперед!?"

ჩვენ მაინც მოგილოცავთ ამ თუმცა პაწია, მარა მაინც წინგადადგმულ ნაბიჯს.

ეს საერთოდ... ეს ასე ვთქვათ ობიექტიური მხარეა დასმული საკითხისა: „პროლეტარიატის წინაშე ობიექტიურად დაისვა საკითხი ძალა-უფლების შესახებ... ახლა მეორე, სუბიექტიური, მხარე საკითხისა.

რა უნდა აკეთონ სოციალისტურმა პარტიებმა, როგორი სამუშაო გეგმა გამოიმუშაონ, **როგორი სამოქმედო აპარატი-ინტერნაციონალი** შექმნან?? აი საკითხი, რომელიც დასმული იყო ჩვენ წერილში, რომელზედაც ჩვენ პასუხს ველოდით და ახლაც [illegible]. ჩვენ თქვენს კითხვაზე პასუხი გაგეცით; თქვენც ნუ აუვლით საკითხს გვერდს და პირდაპირ მოგვიგეთ:

სამ მიმართულებათა შორის, რომელიც არსებობს დღეს სოციალისტურ პარტიებში პროლეტარიატის სამოქმედო აპარატის-ინტერნაციონალის შესახებ, რომლის უჭერთ თქვენ მხარს?.

მე-2 ინტერნაციონალის მომხრე ხართ, მე-3, თუ ე. წ. „აღმდგენელთა"? თუ არ გინდათ თქვენი **სრული იდეიური სიკოტრე** გამოიჩინოთ, პირდაპირ გაბედულათ გვიპასუხეთ. სულ ერთია, ერთ დღეს მაინც მოგიხთებათ ნიღაბის ჩამოშორება. ხოლო მარტო იმის მტკიცება, რომ კლარა ცეტკინა „აზიელია" და თქვენ „ევროპიელი", სხვა რომ არა იყოს მოსაბეზრებელია.

**ვინ—ბან.**

---

## ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი
(დასასრული)

მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს თითქმის ყველგან, გარდა რუსეთისა, უხდება მუშაობა არა-ლეგალურ პირობებში. არ არსებობს ისეთი რამ, რაიც ბურჟუაზიის მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა დახმარებით, არ დაატყდა კომუნისტების თავზე. სხვა-და-სხვა ქვეყნების მუშა-კომუნისტებს დიდის გაჭირვებით უხდებათ ერთმანეთისადმი ცნობების მიწოდება. ჩვენ გზაზე ეკლიანი სინებია გაბმული, რომლებიც გამართულია ჩვენს წინააღმდეგ არა მარტო დახელოვნებული კაცის-მკვლელ კლემანსოს მიერ, არამედ მეორე ინტ-ს გამოცდილ „დიპლომატთა" ხელებითაც. ჩვენ გვიხდება მილიონ დაბრკოლებათა გადალახვა.

და, მიუხედავად ყოველივე ამისა, საერთაშორისო ძმობა მუშებისა, იზრდება და მაგრდება ყოველ საათობით, კომუნიზმის დროშის ქვეშ. სულ ცხრა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში საძირკველი ჩაეყარა კომუნისტურ ინტერნაციონალს. ამის შემდეგ ჩვენი ორგანიზაცია გაიზარდა რამდენიმეთ. უბრალო ჩამოთვლა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ფორმალურად შეეფერებოდენ მესამე ინტ-ს, საკმაო ნათლად დაამოწმებს ამას.

კომუნისტურ ინტ-ს პირველ კონგრესზე მოსკოვში, მარტში 1919 წ.—მონაწილეობა მიიღო 24 პარტიამ და ორგანიზაციამ. ამის შემდგომ ჩვენამდის მოაღწია შემდეგმა ოფიციალურმა ცნობებმა კომუნისტურ ინტერნაციონალის მომხრე პარტიათა:

19 მარტს 1919 წ, იტალიის სოციალისტ. პარტიის კომიტეტმა მილანში გადასწყვიტა შეუერთდეს მე-3 ინტერნაციონალს.

8 აპრილს ნორვეგიის სოც.-დ. მუშათა პარტიის სიეზდმა დაადგინა შევიდეს კომუნისტურ ინტერნაციონალში.

10 მაისს ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ანალოგიური დადგენილება გამოიტანა შვეციის ახალგაზდათა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა.

14 ივნისს მოხთა შვეციის სოც.-დემ. მემარცხენე ფრთის კონფერენციის დადგენილება მე-3 ინტერნაციონალთან შეერთებაზე.

22 ივნისს მიღებულია ბულგარიის სოც. დ. პარტიის („ტესნიაკები"-ს) დადგენილება ანალოგიური ხასიათისა.

20 ივლისს ცნობას ვღებულობთ, რომ პოლონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ოფიციალურათ შეუერთდეს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

16 ივლისს იტალიელ სოციალისტთა ყრილობა შვეიცარიაში ღებულობს მე-3 ინ-დან შეერთების რეზოლიუციას.

მთელი შვეიცარიის ს.-დ. პარტიის ყრილობა ემხრობა მე-3 ინტერნაციონალს. რეფერენდუმით კი ეს გადაწყვეტილება ცოტათი ნაკლებ ხმებს.

აგვისტოში ამერიკის შეერთებულ შტატების სოციალისტების კონგრესი უერთდება მე-3 ინტერნაციონალს. ამერიკაში დღეს ორი კომუნისტური პარტიაა: ორივე შედის კომ. ინ-ში.

იმავე თვეში ცნობას ვღებულობთ, რომ ჩვენს ინტერნაციონალს შეუერთდა აღმოსავლეთ გალიციის კომუნისტური პარტია.

სექტემბერში ჩვენ გვიერთდება სოციალისტური პარტია ელზას-ლორენის.

ასეთვე ცნობებს ვღებულობთ ამავე თვეში ამერიკაში მყოფ უკრაინის სოციალისტური პარტიების ფედერაციისგან და ფინელ მუშათა მრავალ ორგანიზაციებიდან.

ოქტომბერში იტალიის სოციალისტური პარტიის სიეზდი ბოლონში დიდის ხმის უმრავლესობით ადასტურებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას.

23 ოქტომბერს ბრიტანიის სოციალისტური პარტიიდან ცნობა მოგვდის, რომ ის შეუერთდა მე-III ინტერნაციონალს.

30 ოქტომბერს ამავე გადაწყვეტილებას იღებენ ბავარელი დამოუკიდებლები.

20 ნოემბერს მესამე ინტერნაციონალს უერთდება ნაწილი დანიის ს.-დ. პარტიისა.

დეკემბერში ცნობას ვღებულობთ, რომ ჩვენ ინტერნაციონალს შეუერთდენ მექსიკის, ბოჰემიის და ლოტარინგიის სოციალისტური პარტიები.

ამავე თვეში ასეთივე გადაწყვეტილება გამოაქვთ სამხრეთ-სლავიის კომუნისტებს და სოციალისტებს, რიცხვით 120.000 კაცს.

ამავე დეკემბერში მე-III ინტერნაციონალს უერთდება კორეის სოციალისტები.

ამავე თვეში მოვიდა ცნობა, რომ ერთ-ერთ ევროპის დიდ ქალაქში მოხ-

თა საერთაშორისო სიზდი მუშათა ახალგაზდობისა, რომლის დელეგატები ლაპარაკობდნენ 220,000 შეკავშირებულ ახალგაზდათა სახელით, სადაც მიღებულ იქნა რეზოლიუცია მე-3 ინტ. შეერთებისა.

დეკემბერში 1919 წ. ისპანიის სოციალისტთა სიეზდზე მე-3 ინტერნაციონალს ხმა მიცეს 12,500, მე-2 კი 14000.

სკანდინავიის მუშათა კონგრესზე (დეკემბერი 1919 წ.), სადაც იყო 267 დელეგატი 20,000 მუშებისაგან, ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუცია მე-3 ინტ. შეერთებისა. დაბოლოს დეკემბრის ბოლოს მოხდა დამოუკიდებელთა სიეზდი ლეიპციგში, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ*). იმ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზიამ თეთრ სოციალ-დემოკრატების დახმარებით წლის ნახევრის წინათ ამოხოცა 70,000 მუშა. ჩვენ სახეში გვაქვს ფინეთი. ერთმა მუშათა გაზეთმა („ვიისტი“) მოათავსა სტატია შემდეგი სათაურით: გამარჯვებული სვლა მე3 ინტერნაციონალისა“.

ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ: „პირველი შეხედვით ფინეთში, უნგრეთში, გერმანიაში სულ „სიწყნარეა“, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიამ და მისმა ლაქია—სოციალ-დემოკრატებმა ამოხოცეს საუკეთესო მუშები. მაგრამ ასეა მხოლოდ პირველი შეხედვით. იმ დროს, როდესაც ვერაგი „მეთაურები“ მუშათა კლასისა ყველგან დორბლმორეულნი ყოველივე ზომებს ხმარობენ, რომ რევოლიუციონური მოძრაობა მშრომელთა მოამწყვდიონ ვიწრო კალაპოტში, ლამობენ მე-III ინ-ს და მის საუკეთესო მოწინავე მებრძოლთ სახელი გაუტეხონ,—ამავე დროს პროლეტარული რევოლიუციის სული დუღს და მაგრდება პარლამენტების გარეშე, მე-III კომუნისტური ინტერნაციონალი განაგრძობს თავის დაუღალავ, გამარჯვებულ წინსვლას.

ამ ქვეყნებშიაც, სადაც „მეთაურთა“ ორმაგმა თამაშმა მიაღწია მართლაც რომ ვირტუოზობას, სადაც მუშათა კლასის მოტყუილება გადაიქცა თითქმის მთელ მეცნიერებათ,—მაგალითად საფრანგეთში მუშები შეგნებულად ან და ინსტიქტურად უფრო და უფრო ფართო მასებით იკრიბებიან მე-III ინტერნაციონალის გარშემო. საზოგადოებრივი უსამართლობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა. ყველა დიადი დაპირებანი გაბატონებულთა მხოლოდ მოტყუილება გამოდგა. ომი, [illegible] უბედურებით და [illegible] კიდევ უფრო მეტ უბედურებამდინ. პარლამენტი გამოდგა შანტაჟის დაწესებულება. გარეშე მტერთა წინააღმდეგ გალესილი ხიშტები დღეს მიმართულია შინაურ „მტრების“, მუშების წინაღმდეგ. დემოკრატიული ძალდატანება მშიერ მუშებს მუშტით და ხიშტით ემუქრება. განა გასაკვირია ამის შემდეგ, როცა მშრომელი ხალხი ყრუთ ისმენს თავის[?] ვერაგ წინამძღოლების ტკბილ-ტკბილ სიმღერებს, იქანცება საბოლოვოდ მათი გაუთავებელ შანტაჟობით და სურთ, რითაც არ უნდა დაუჯდეთ, განთავისუფლდნენ დალუპვისაგან? განა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ მშრომელთა მასები ეჰრებიან კლასობრივ ბრძოლაში, მიილტვიან მეIII ინტერნაციონალისკენ, განთავისუფლებისკენ?!! ყოვლად შეუძლებელია კაცმა აუღელვებლივ წაიკითხოს ფინელ მუშათა ორგანოში ეს სტრიქონები, იმ მუშათა ორგანოში, რომლებმაც ასეთი საშინელი წამება განიცადეს!! დიახ, ფინელი მუშები მართალი არიან. ჭეშმარიტად, დადგა დრო მე-III ინტერნაციონალის საზეიმო მსვლელობისა.

სრულიად მართალია ჩვენი ფრანგი ამხანაგი ლორიო, როდესაც ის თავის წერილს გაზეთ „მუშათა ცხოვრება“-ში ასეთ სათაურით ბეჭდავს—„**მხოლოდ ერთი ინტერნაციონალი—მესამე**“. კომუნისტური ინტერნაციონალი ეს—ამომავალი ვარსკვლავია. მეორე ინტ-ნი უსახელოთ კვდება. მესამე ინტ-ნი იზრდება თავბრუ-დამხვევ სიჩქარით. მათ შორის ბრძოლა—არის ბრძოლა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა. ბურჟუაზია განწირული კლასია. პროლეტარიატი—ძალა-უფლებისათვის ამომავალი კლასი—კლასი, რომლის წინაშე იშლება თვალწარმტაცი[?] მომავალი.

**კომუნისტური ინტერნაციონალი ახლო მომავალში შემოკრებს თავის გარშემო ყველა ქვეყნების მუშებს.**

როგორც ვარსკვლავი ცაზე, კომუნისტური ინტერნაციონალი უნათებს მთელი მსოფლიოს დაჩაგრულთ.

გ. ზინოვიევი.

*) ცნობები შეკრებილია მხოლოდ დეკემბრის დამლევამდე, თუმცა ამ ხანისთვისაც არ არის სრული ცნობები თავის დროზე მიღებული სიძნელის გამო.

**შეცდომის გასწორება.** ამ წერილის მე-10 ნუმერში მოთავსებულ ნაწილში შემდეგი შეცდომაა: ნათქვამია — დამოუკიდებელთა პარტიაში ირიცხება 50,000 წევრი, უნდა იყოს 750,000.


ამხანაგებო!
წაიკითხეთ და გაავრცელეთ ახალი ბროშურა:
ვინ არიან კომუნისტები
(ბოლშევიკები).
გამოცემა „წითელი ვარსკვლავი“ სა·


## ვინ სტყუის?

(ბ. ს. დევდარიანის მკითხველების საყურადღებოთ).

ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები, ესეც დემოკრატიული ქვეყანაა. მაგრამ ამ დემოკრატიულ ქვეყანაში ნეგრების განთავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოთ სამოქალაქო ომის შემწეობით, და ვინ იდებს თავდებობას, რომ ამერიკის პროლეტარიატს არ მოუხდება ძალდატანებით გაიკაფოს გზა თავის ეკონომიურ განთავისუფლებისაკენ“? (იხ. ხსენებული წინასიტყვაობა გვ. 47). ამას სწერდა გ. პლეხანოვი 1900 წ. სამი წლის წემდეგ, პარტიის მეორე ყრილობაზე. აი როგორი „ბოლშევიკური“ სიტყვით მიმართა დელეგატებს: „თითეული დემოკრატიული პრინციპი ჩვენ უნდა დავაფასოთ არა განყენებულათ, არამედ იმ მხრით, თუ რამდენათ შეეხამება ის დემოკრატიის ძირითად პრინციპს, რომელიც ამბობს, რომ ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონია. რევოლიუციონერის ენაზე ეს ნიშნავს, რომ რევოლიუციის გამარჯვება უზენაესი კანონია. და თუ კი რევოლიუციის გასამარჯვებლათ სავსებით შეიქნება დროებით შეზღუდვა ამა თუ იმ დემოკრატიული პრინციპის მოქმედებისა, დანაშაულობა იქნებოდა ჩვენ რომ შევსდგეთ ასეთი შეზღუდვის წინაშე. პირადათ მე ვიტყვი, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპსაც კი ჩვენ უნდა დავუქვემდებაროთ ხსენებულ ძირითად პრინციპს დემოკრატიისას. გიპოტეტიურათ წარმოსადგენია შემთხვევა, როცა ჩვენ, სოც.-დემოკრატები, საყოველთაო საარჩევნო უფლების წინაამდეგ გავალაშქრებთ. იტალიელ რესპუბლიკების ბურჟუაზია ოდესღაც ართმევდა პოლიტიკურ უფლებებს იმ პირთ, რომელნიც აზნაურობას ეკუთვნოდა. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა, შეიძლება, შეუზღუდოს პოლიტიკურ უფლებები უმაღლეს კლასებს სწორეთ ისევე, როგორც უმაღლესი კლასები წინეთ ზღუდავდნენ მის პოლიტიკურ უფლებებს. ასეთი ზომის სავარგისობის დაფასება შეიძლება მხოლოთ იმ პრინციპის თვალსაზრისით, რომელიც ამბობს: რევოლიუციის კეთილდღეობა უზენაესი კანონია. ასეთი შეხედულებას უნდა დავადგეთ ჩვენ პარლამენტების მოქმედების ვადის საკითხშიც. რევოლიუციონური ენტუზიაზმის გულისთქმით აღტყინებულ ხალხმა რომ აირჩიოს ძლიერ კარგი პარლამენტი, ჩვენ უნდა ვეცადოთ ის მეტათ ხანგრძლივ პარლამენტათ გადავაქციოთ (сделать его долгимъ парламентомъ); და პირიქით, არჩევნები ჩვენთვის ხელსაყრელად რომ არ დასრულდეს, იმ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვეცადოთ გავრეკოთ ის არა ორი წლის შემდეგ, არამედ თუ კი შესაძლებელია ორი კვირის შემდეგაც“... (იხ. მეორე ყრილობის ოქმში, გვ. 169).

აი „დიდი და შეუდარებელი“ თეორეტიკოსის აზრ-შეხედულება, დასასრულ მოვუსმინოთ ერთ ქართველ სოც.-დემოკრატს, რომელსაც ეკუთნის დიდი ფელეტონი „ერთობის“ ერთ-ერთ წინაპარ გაზეთში („მერცხალი“, 1913 წ., 9 იანვრის № 7, სათაურით: „შინაური უთანხმოება—რევიზიონიზმი მარცხნივ“). ეს ავტორი ასე გვაცნობს რევიზიონისტების მრწამს:—„მარქსის თეორია არ გამართლდა: კლასთა წინააღმდეგობა თანდათან სუსტდება... საჭიროა მხოლოდ წყნარი, მშვიდობიანი მუშაობა; ნელა გაიზრდება თანამედროვე საზოგადოება, ნელა ჩაისახება იქ და გაფართოვდება ახალი წესწყობილება... ასეთია ძველი რევიზიონიზმის ფილოსოფია, და ეს ფილოსოფია სავსებით აკმაყოფილებს იმას, ვინც შორისკენ ვერ იხედება, ვისაც მარტო დღევანდელი დღე აინტერესებს“. მარა ჩვენი ავტორი წკეპელს იღებს ხელში და ამხელს რევიზიონიზმის პრაქტიკულობის სრულ უსაფუძვლობას. მისი რწმუნებით „ახლა ამ მიმართულებას ნიადაგი აღარ აქვს. უკანასკნელი ამბები საერთაშორისო ცხოვრებიდან აშკარათ გვეუბნებიან, რომ კლასთა ბრძოლა დღითი დღე მწვავდება, მშვიდობიანათ კითხვის გადაჭრას ახლა აღარავინ მოელის“.—რევიზიონისტები გარიცხეს პარტიიდან იტალიაში და ზოგან გერმანიაშიო, რევიზიონიზმის წინააღმდეგ „შეურიგებელი ბრძოლაა, ის მარცხდება ამ ბრძოლაში“-ო. მარა თურმე ახლა მარცხნით გამოჩენილა ახალი რევიზიონიზმი, როზა ლიუქსემბურგის მეთაურობით, რომელიც, სხვათა შორის, ამტკიცებს თურმე კაუცკის წინააღმდეგ, რომ „ერთი საზოგადოებიდ ნ მეორეში გადასვლა მოხდება თანდათან და არა ერთი დაკვრით.“ და აი ჩვენი ავტორიც გაულცებია ასეთ არა მარქსისტულ მტკიცებას „მემარცხენე რევიზიონისტებისას“ და ის ასეთ „სახარებას“ უკითხავს მათ.

„დავიწყებიათ ამ ახალგაზდა მოაზრეებს, რომ დიალექტიური განვითარება არ ნიშნავს მარტო თანდათანობას. თანდათანობაჲ ბოლომდის ახასიათებს სწორედ რევიზიონისტების შეხედულებას. ნამდვილათ კი ძველ საზოგადოებაში მწიფდებიან თანდათან ახალი ძალები, მერე, როცა მომწიფდებიან, როცა ახალი შინაარსი მოძველებულ ქერქში ვეღარ ეტევა, ხდება უკანასკნელი შეჯახება, ძალდატანებით ისპობა ძველი და ფეხს იკიდებს ახალი. თანდათანობითი განვითარება ნიადაგს უმზადებს რევოლიუციონურ გამოსვლას, რომელსაც [illegible] ისტორიულ პროცესში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის. თანდათანობა და ეგრეთ წოდებული „კატასტროფა“ ორი მხარეა ერთი და იმავე მოძრაობის. გერმანიის ახალგაზრდა სოც.-დ-ები უარყოფენ მეორე მხარეს, აღიარებენ მარტო პირველს. ამით შორდებიან ისინი მარქსის თეორიას და მხოლოდ გარეგნულათ, სიტყვით გაირჩევიან რევიზიონისტებისაგან“... შემდეგ ჩვენი ავტორი განმარტავს: „მარქსიზმი ყოველთვის უარყოფს მხოლოდ ერთი რომელიმე განსაზღვრული საშუალებით სარგებლობას. უნდა ვისარგებლოთ ერთი საშუალებითაც და მეორითაც, პარლამენტარიზმით, პირდაპირი მოქმედებით და „პატარა“ ყოველდღიური ორგანიზაციული საქმეებითაც“.

მკითხველი ალბათ დაინტერესდება ამ ავტორის ვინაობით, რომელიც სტოლიპინის შავბნელ რეაქციის დროს ახერხებდა „გალმა შედავებოდა“ როზა ლიუქსემბურგს, პანეკუკს და სხვა მემარცხენეებს გერმანიის სოც.-დემ. პარტიისას და მათ წინააღმდეგ „სახელი გაეკეთებია“ ძალდატანებითი გადატრიალებისათვის, აგრეთვე პარლამენტარიზმით სარგებლობის გვერდით დაყენება „პირდაპირი მოქმედება“ (ე. ი. შეიარაღებული აჯანყება, რკინის გზების აფეთქებები, პოლიტიკური გაფიცვები, საბოტაჟი და სხ.)? ეს ავტორია თვით **ს. დევდარიანი!**

გაიხარე „ერთობის“ მკითხველო და დასტკბი მასწავლებელთა სიდინჯით, რომელთაც არც არაფრის რცხვენიათ, და არც არაფრისი ეშინიათ! ვოდევილების გმირების სამფლობელოში ვცხოვრობთ და სიცილი გვმართებსთ!

**მ. კასპელი.**

(გაგრძელება იქნება).

## წერილები რუსეთის რევოლიუციის შესახებ

### III

სოციალისტური რევოლიუცია დაიწყო რუსეთში. რუსეთის პროლეტარიატმა მოიხვეჭა უკვდავი სახელი, რადგანაც შეძლო რევოლიუციონური მარქსიზმის პროგრამის შენარჩუნება, და მით ნახა რევოლიუციონური გზა, საშვალება, რომ დაემსხვრია კაპიტალისტური სახელმწიფოს აპარატი. რუსეთის პროლეტარიატი უძლეველი გამოდგა, ამ ისტორიულ მოვლენას ვერ წაშლის საუკუნოები, რადგანაც გამარჯვება რუსეთის პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის უკვე ფაქტია. ამის უტყუარი საბუთები აშკარათ მოსჩანან საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახში. როგორია მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში? რა გზას ადგია იქ პროლეტარიატი? შეიძლება თუ არა ვსთქვათ, რომ ბრძოლა სოციალისტურ რევოლიუციისათვის უკვე დაიწყო იქ?

ამის საპასუხოთ საჭიროა გავითვალისწინოთ მე-III ინტერნაციონალის ზრდა-განვითარება. დღეს გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მარქსის და ენგელსის ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, რომელიც ამ სამოცდა ათი წლის წინეთ იყო წამოყენებული, სავსებით და უტყუარათ ხორციელდება, მით უმეტეს იწყობა პროლეტარიატის გაერთიანება, რომ იმპერიალისტურ-მონოპოლისტურმა კაპიტალის განვითარებამ უაღრეს წერტილს მიაღწია. დღეს ევროპის პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი უკვე გაერთიანებულია რევოლიუციონური მარქსიზმის ირგვლივ. მთელ ევროპაში, ამერიკაში დ ინგლისში მუშათა მოძრაობა, კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო და უფრო იზრდება, აშკარა ფორმას იღებს, გარეთ გამოდის, ქუჩისკენ ესწრაფება. საკვირლათ გაიზარდა მუშათა მოძრაობა ისეთ მხარეებში, სადაც [illegible] სუსტი იყო: ირლანდიაში, შოტლანდიაში...

მართალია რუსეთის რევოლიუციის პირველ დღეებში იმედი იყო, რომ ევროპაშიც დაიწყებოდა სოციალისტური რევოლიუცია ომის დამთავრებისას, მაგრამ სოციალ-დემოკრატიაში ისეთი საშინელი რენეგატობამ იჩინა თავი, ისეთი იოლი შეიქნა უმეტეს ხელმძღვანელთათვის პროლეტარიატის ინტერესების ღალატი, რომ ამან თავისი წამბილწველი დაღი დაჩინა ევროპის მუშათა მოძრაობას და საკმაოთ დასცალა ის სისხლიდან (გერმანიაში, უნგრეთში).

მიუხედავათ ამ ფრიად სამწუხარო მოვლენისა, რასაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მიუხედავათ იმისა, რომ მე-2 ინტერნაციონალი დარჩა მუშების მოღალატეთა ხელში, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციამ შეარყია კაპიტალისტური კერპები, მან მოახდინა გავლენა მთელ ევროპაზე, იქ რევოლიუციონური მოძრაობა თანდათან ღრმავდება და ფართოვდება. შესაძლოა ამ რევოლიუციამ განიცადოს დიდი კრიზისები, მაგრამ ერთი აშკარაა—იქ იზრდება დ სულ ადრე მოელის ისეთი გამარჯვება, როგორც რუსეთში.

მიუხედავათ იმ საშინელ პირობებისა, რომელშიდაც უხდება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს ბრძოლა, მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზია ეწევა საშინელ ბრძოლას რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, არ ერიდება არც ერთ საშვალებას თავის მიზნის მისაღწევათ—იარაღსაც ამუშავებს და გამათახსირებელ ყვითელ პრესასაც,—მიუხედავათ ყოველივე ამისა საბჭოთა ძალა-უფლება მეტად პოპულიარულია მთელ ევროპაში; და ასე ბურჟუაზიამ თავისი მიზნის მაგიერ წინაამდეგს მიაღწია: მთელს ევროპაში დემოკრატია ჰკარგავს მნიშვნელობას. საკმარისი შეიქმნა პრაქტიკა ფინლიანდიის, გერმანიის, ვენგრიის და რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკების, რომ გამოაშკარავებულიყო სიკოტრე ბურჟუაზიული დემოკრატიისა. ამის გამო გაძლიერდა ევროპაში კომუნისტური მოძრაობა, მიტომ აყენებს ევროპის პროლეტარიატი დღის წესრიგში თავის დიქტატურას. მუშათა მოძრაობა იმდენათ ძლიერია ევროპაში, და [illegible] რომ გერმანიის დამოუკიდებ[...] რანგეთის სოციალისტური, [illegible] [illegible] გორც მისი ფორმა საბჭოთა ძ[...] ლება. ერთი სიტყვით რუსეთის [...] რის რევოლიუციამ გაუკაფა გ[...] ლეტარიატის ბრძოლას ევროპაშ[...] ტაკელების გამოსვლამ, როზა [...] ბურგის და კარლ ლიპკნეხტის [...] ლობამ დაამთავრა ევროპის პ[...] რიატის საბოლოვო გამორკვევა.

ამერიკაში უკვე ჩამოყალიბდა [...] ნისტური პარტია, რომლის [...] ათასობით იყრის თავს ამერიკ[...] ლეტარიატი; ამერიკელი მუშათ[...] ნისტური პარტია მედგრათ სდ[...] კომუნისტურ ინტერნაციონალ[...] ციპებზე.

ნორვეგიაში პროფესიონალურ[...] რაობა ახალ, რევოლიუციონუ[...] დაადგა. უკანასკნელი პარტიულ[...] დი, რომელიც მ-ხდა ნორვეგიაში [...] მაისში, საბოლოოთ დაადგა გაე[...] ბის გზას. ყრილობის უმრავ[...] დაადგინა შეუერთდეს მე-3 ინტერ[...] ნალს და მიიღონ მისი პოლ[...] პროგრამა.

ამნაირათ, შეგვიძლია ვსთქვა[...] მე-2 ინტერნაციონალი მოკვდა [...] შათა მასსები საფრანგეთში, გერ[...] ამერიკაში, ინგლისში, ნორვეგ[...] იტალიაში გადმოვიდა ან გა[...] კომუნისტურ ბანაკში. ეს იმას [...] რომ ისეთ ქვეყნებში სადაც მუშ[...] ძრაობა, კლასთა ბრძოლა სუ[...] იქაც კი იჩინა თავი ბრძოლის [...] ფორმებმა. ეს მოვლენა აშკარათ [...] მობს იმას, რომ ძველი გზა, [...] ფორმა სოციალიზმისა საბოლოო[...] მობს ალაგს ახალს ჭეშმარიტ რე[...] ციონურს. მართალია ევროპა ჯე[...] ბით მიდის განსხვავებული გზით [...] რუსეთის პროლეტარიატი რე[...] ციაში, მაგრამ საქმე ის არის, [...] როპაც ამ თავისებურ, განსხვ[...] გზით აკეთებს იმას, რაც რუსეთ[...] ვოლიუციამ გააკეთა. ამ თავ[...] დამოუკიდებელ პროლეტარიატ[...] ლაში შთანერგილია გამარჯვება, [...] გან იქ კომუნისტური იდეა თ[...] ძლიერდება და კლასობრივი [...] ქუჩაში გადმოდის.

საერთაშორისო პროლეტარიატ[...] თიანება უკვე ფაქტია. მე-3 ი[...] ციონალმა შემოიკრიბა თავის [...] ევროპის პროლეტარიატი. ის მსხ[...] რომელიც მუშათა კლასმა გაიღ[...] ლათ არ ჩატარებულა. ამ დაუ[...] ბრძოლის შედეგია საერთაშორის[...] ლეტარიატის გაერთიანება. ას[...] ერთიანება აუცილებელი იყო [...] უკვე მოხდა, ამაშია ჩასახული [...] წესი კლასობრივი ბრძოლისა, რო[...] უეჭველათ ხდის კომუნიზმის გა[...] ბას კაპიტალიზმზე.

ამნაირათ მე-III კომუნისტური ი[...] ნაციონალი ძლიერია. ის ეყ[...] მთელ იმ გამოცდას, რომელიც ი[...] ლისტურმა ჯარმა დასტოვა და [...] მის პოზიციას ცხოვრება ამარ[...] რის გამო მის ირგვლივ ერთი[...] მუშათა კლასი. დღეს არ მოი[...] ისეთი მხარე სადაც მუშათა [...] მოწინავე რაზმი არ იდგეს და არ [...] თლებდეს მე-III ინტერნაციონალის [...] ას. სულ ახლო მომავალში შესდგე[...] თელ მოსკოვში, რევოლიუციის [...] ტო ქალაქში, მე-III ინტერნაციო[...] მეორე ყრილობა. და ეს დაგვა[...] მე-II ინტერნაციონალის უეჭვო [...] დილს და მხოლოდ მესამე ინტერ[...] ნალის სიძლიერეს და გამარჯვებ[...]

მაშ მუშათა მოძრაობა ევროპაშ[...] და თან ძლიერდება, კლასობრივი [...] ლის უკანასკნელი აქტი ახლოვდე[...] არ არის შორს ის მომენტი, რო[...] ყველგან კაპიტალისტური სახელ[...] ადგილს დაუთმობს პროლეტარ[...] დიქტატურას საბჭოთა რესპუბლი[...] ხით.

გ. ნუცუბ[...]

## საბჭოთა რუსეთში

**ურალის ქვანახშირის მაღარო[...] დან გამოღებულ მადანის რა[...] ნობა 1920 წ. პირველ მეოთხე[...]**

**კიზელოვის რაიონში:** მუშათა [...] ხვი აღნიშნულ პერიოდში არ შეც[...]

დარჩა აგრეთვე ისეთივე შეთანასწორე-
ბა მუშათა საერთო რიცხვთან ბოძების
შემდგმელთა (забойщиков) (მარტში
მაგალითათ, გამგეობის ანგარიშით, მა-
ღაროებში სულ მუშაობდა 3,500 კაცი,
ამათგან ბოძის შემდგმელი და გამომტა-
ნელი მხოლოთ 795 კაცი).

მადანი გამოიღეს:

| თვეები: | ათასობით | |
|---|---|---|
| იანვარში . . | 1,116 | ფუთი |
| თებერვალში . | 1,024 | „ |
| მარტში . . | 1,569 | „ |
| სულ . . | 3,709 | ფ. |

პროგრამით დააკლდა 25,8 პროც.

**ჩელიაბინის რაიონში:** აქ მზადება
იყო, რომ ქვანახშირი მოპარბებული
პროგრამით გამოეღოთ. 1920 წ. პრო-
გრამას მიზნათ აქვს გამართულ სამუ-
შაოებში წარმოება გააფართოვოს და გა-
აუმჯობესოს. მთავარ სამმართველოს მიერ
დამუშავებული პროგრამის თანახმათ სა
მუშაო შესრულებულ იქნა სამ თვეში.
მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი
კაპიტალისტური წესის სავსებით თავიდან
მორიება კიდევ შეუძლებელი გახდა,
რაც გამოღებულ მადნის რაოდენობაზე
გავლენას მოახდენს შემდეგ თვეებშიაც.
ამ რაიონში გამოღებულ იქნა:

| თვე. | ათასობით | |
|---|---|---|
| იანვარში . . . | 2.622 | ფუთი |
| თებერვალში . . | 2.375 | ფ. |
| მარტში . . . | 2.147 | ფ. |
| სულ . . | 7,042 | ფუთი. |

პროგრამის ზედმეტი 28 პროც.

**ბოლოსლოვის რაიონში:** ამ რაიონის
მაღაროებში ქვანახშირს მხოლოთ ნადე-
ჟდინის ქარხნისთვის ამზადებენ, რაც
წარმოებას ერთგვარ საზღვარს უდებს.
ამასთან აქ შრომის ნაყოფიერებაზე დი-
დი გავლენა აქვს იმ გარემოებას, რომ
სურსათის ნაკლებობა აქ მუდმივია.
ამ რაიონში გამოღებულ იქნა:

| თვე. | ათასობით | |
|---|---|---|
| იანვარში . . . | 458 | ფუთი |
| თებერვალში . . | 545 | ფ. |
| მარტში . . . | 916 | ფ. |
| სულ . . | 1,919 | ფუთი |

პრ. დააკლდა 23,2 პროც.

**გორო ნსკის რაიონში:** წარმოება
ნელა ვითარდებოდა, რადგან ამ
რაიონის მაღაროებში ორთქლის ძალას
ჯეროვნათ ვერ აძლევდენ. ამასთან მუშე-
ბი მოსამზადებელ სამუშაოებზე ცდე-
ბოდენ. დენიკინელებისგან გაწმენდის
შემდეგაც ამ რაიონში მუშათა რიცხვმა
ძალიან იმატა. ბოძის შემდგმელთა რი-
ცხვი იგივე დარჩა (მარტში მაგალითათ
14 კაცი იყო).

ამ რაიონში გამოღებულ იქნა:

| თვე. | ათასობით | |
|---|---|---|
| იანვარში . . . | 179 | ფუთი |
| თებერვალში . . | 238 | ფ. |
| მარტში . . . | 288 | ფ. |
| სულ . . | 705 | ფ. |

პრ. დააკლდა 6 პროც.

საერთოდ ამ სამ თვეში მთელ ურალზე
(ბოლოსლოვის რაიონს არ ჩავთვლით,
რადგან იქ გამოღებულ მადნის რაოდენობა
ძალიან მცირეა) გამოღებულ იქნა ქვა-
ნახშირი 3.375 ათასი ფუთი. მთავარ
სამმართველოს ანგარიშით სულ უნდა
გამოეღოთ 13.750 ათასი ფუთი. ე. ი.
მთელი ურალის წარმოებაში პროგრამით
დააკლდა სულ მხოლოთ 2,1 პროც.

**ფრანგ ამხანაგის სიტყვა.**

დელინე ამბობს, რომ საფრანგე-
თის პროლეტარიატი ძალიან დაიქანცა
იმპერიალისტური ომით, მაგრამ, მიუხე-
დავად ამისა, მისი გამოსვლა მალე მო-
სალოდნელია და ფრანგი მუშა ახლო მომავალ-
ში შეუერთდება თავის რუსეთელ ძმას საერ-
თაშორისო კომუნისტურ ინტერნაციო-

თაისის საგუბერნიო სატუსაღოში. მათი
თხოვნა, რომ რამდენიმე დღით ისინი
დარჩენილიყვენ თუგინდ მეტეხის ციხე-
ში, სადაც მათი ნათესავები ნახავდენ,
შეწყნარებული არ იქნა. გარდა ამისა
განსაკუთრებულ რაზმში ამავე დღეს
ოცდაათამდე დაპატიმრებული იყო,
ზოგს მათგანს, უმეტესათ უცხოელებს
თავიანთ სამშობლოში აგზავნიან, ზოგ-
ნიც დროებით გაანთავისუფლეს.

— გორიდან გვწერენ: კვირას, 27 ივ-
ნისს, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ
კომუნისტების პარტიული კრება დაატ-
ყვევა, სულ 24 კაცი. კრების მიზანი
იყო გამოერკვიათ ორგანიზაციული კი-
თხვა, თუ როგორ მოაწყონ ლეგალუ-
რათ პარტიული ორგანიზაციები და
აღადგინონ ამას წინათ დანგრეული
პარტიის ადგილობრივი ბიურო. დატუ-
საღებულნი ყველანი ქუთაისის საგუბე-
რნიო ციხეში გაგზავნეს.

— **აზერბაიჯანის საგ. საქ. კომისა
რის ჩამოსვლა.** ორშაბათს 28 ივნისს
საჩქარო მატარებლით ტფილისში ჩამო-
ვიდა აზერბაიჯანის საგ. საქ. კომისარი
გ. ჰუსეინოვი. ამავე მატარებლით ჩამო-
ვიდა აზერბაიჯანში დანიშნული საქართ.
დიპლომ. წარმომადგენელი გრ. ალში-
ბაია.

— **ტყვეების ჩამოსვლა აზერბაიჯანი
დან.** 28 ივნისს, საგანგებო მატარებ-
ლით ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდენ
გვარდიელები და ჯარის კაცები, რომ-
ლებიც საქართველო-აზერბაიჯანის ომის
დროს ტყვეთ იყვენ წამოყვანილნი. ამა-
ვე მატარებლით ჩამოვიდენ ომის დროს
ბაქოში დარჩენილი ქართველები.

# საზღვარ გარეთ

**ამერიკის სოციალისტური პარტიის
კონფერენცია.**

როგორც ნიუიორკიდან გაზეთებს
აუწყებდენ, მიმდინარე წლის მაისში
მოხდა ამერიკის სოციალისტური პარ-
ტიის კონფერენცია, რომელმაც პრეზი-
დენტის კანდიდატათ ევგენი დებსი წა-
მოაყენა. კონფერენცია მეტათ ცოცხ-
ლათ ჩატარდა. ბევრი მისასალმებელი
სიტყვები წარმოითქვა საბჭოთა რუსე-
თის, ლენინის და ტროცკის სახელზე.
კონფერენციამ პრეზიდენტის საარჩევნო
ბრძოლის ლოზუნგები შეიმუშავა, რო-
მელთა შორის არის: საყოველთაო გა-
ნიარაღება, საბჭოთა რუსეთის ცნობა.
ვერსალის საზავო ხელშეკრულების გაუ-
ქმება, ნაციათა ლიგის მაგიერ ინტერ-
ნაციონალური პარლამენტის წამოყენე-
ბა, საარჩევნო სისტემის შეცვლა: გეო-
გრაფიული ოლქების ნაცვლით, წარმოე-
ბითი დაწესებულებების მიხედვით არ-
ჩევნების მოხდენა (ამ წინადადების წი-
ნააღმდეგი იყო სხვათა შორის ზომიერი
უმცირესობა მორისის მეთაურობით).
ყველა სახელმწიფო მოხელის უკანვე გა-
წვევის უფლება, თუ კი ეს მოხელე ამრ-
ჩეველთ არ მოსწონთ, თუნდაც ის პრე-
ზიდენტიც იყოს; ბანკების საზოგადო-
ებრივ მნიშვნელობის ყველა წარმოებათა
ნაციონალიზაცია, მსხვილ მემამულეებზე
დიდი გადასახადების გაწერა; ზანგების
უფლებრივათ სავსებით გათანასწორება
და სხვა... თვით ინგლისის გაზეთების
გადმოცემით პარტიის კანდიდატი პრე-
ზიდენტობაზე დებსი ყოველ შემთხვევა-
ში, არჩეული თუ ვერ დარჩა, ხმის მიმ-
ცემთა მეტათ დიდ რიცხვს მაინც შე-
მოიკრებს.

# დეპეშები

**ბიულეტენები „პრესის ბიუროსი“
რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლო-
ბასთან საქართველოში.**

**მოსკოვი.** 27 ივნისი. საგარეო საქმე-
თა სახალხო კომისარის ჩიჩერინის მიერ
გაგზავნილ იქმნა რადიო, რომ უცხოე-
თის გემებს ნება ეძლევათ შემოვიდენ
რუსეთის ნავთსადგურებში: ოდესაში,
მურმანსკში და არხანგელსკში. მიღებუ-
ლია ზომები ბალტიის ზღვის რუსეთის
ნავთსადგურებში შესვლის შესამსუბუქებ-
ლად, რომლებიც აგრეთვე მალე იქნება
ღია უცხოეთის გემებისათვის.

**არმავირი,** 26 ივნისი, ახალგაზდობის
კომუნისტური კავშირის სააგიტაციო

# ხალი ამბები

...ნი დაპატიმრებულნი, გაზეთ „საქ.
...ის“ თანამშრომელი თენგიზ
... მეტყაველთა პროფ. კავშირის
... ომარე ევგენი არჩვაძე, საბჭოთა
... საკონსულოს მდივანი ათოევი,
...იიდან მოყვანილი დათიკო კო-
... და კატო მიქაძე განსაკუთრებუ-
...მის თანხლებით გაგზავნეს ქუ-

**მკა მშვიდობისა!** .

(ძლვნათ 6 კომუნისტს, მოსკოვში გამგ-
ზავრებულთ).

თქვენ მიდიხართ მეგობარნო,
ბრძოლის ცოდნის შესაძენათ—
მუშა ხალხის სასიკეთოთ,
და დაჩაგრულთ შვება-ლხენათ!
იქ შორეულ ქვეყანაში,
სადაც ღვივა ცეცხლის ალი,
სადაც ბრძოლით იჭედება,
ბედნიერი მომავალი!..
თქვენ მიდიხართ ჩემო კარგნო,
და ეს თქვენი გზა და კვალი
დაე იყოს სასახელო,
გზა დიადი, გზა ახალი!..
მაშ წინ გასწით გაბედულათ
ჭაბუკურის გატაცებით
ისტორია დავაფასებთ
და შევამკობთ ქებათ-ქებით.

**აპოლონ სპირდონიძე.**

1 თებერ. 1920 წ.
ქ. თფილისი.

რაზმებმა დაარსეს კავშირის „იაჩეიკები“
ლაბინსკის განყოფილების რვა პუნქტში
და რამოდენიმე სტანციებში. კომუნის-
ტურ „იაჩეიკებში“ შევიდენ სამასწავ-
ლო სემინარიის ყველა მოსწავლეები.

— რევოლიუციონური კომიტეტი დახმა-
რებას უწევს წითელ არმიელების ოჯა-
ხებს და ღარიბ მცხოვრებლებს, რომლე-
ბსაც ეძლევათ: პური და სხვა სურსათი.
ამასგარდა მათ უნაწილებენ თავისუფალ
მიწებს.

**სტავროპოლი,** 26 ივნ. „დეზერტირე-
ბის ნებაყოფლობითი გამოცხადების კვი-
რის“ განმავლობაში, სამხედრო კომი-
სარიატში გამოცხადდა ათასი დეზერ-
ტირი.

**ბატალპაშინსკი,** 26 ივნ. რევოლიუ-
ციონურ კომიტეტის შეერთებულ სხდო-
მაზე დადგენილ იქნა გაიგზავნოს სოფ-
ლებში საგიტაციოთ ამხანაგები, რომ-
ლებმაც იციან მთიელების ენები. მთიე-
ლების ენაზე გაზეთების და საგიტა-
ციო ლიტერატურის გასავრცელებლათ
დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს
სახალხო მეურნეობის საბჭოს შეიძინოს
მუსულმანური სტამბა, სახალხო განათ-
ლების განყოფილებას კი სახელმძღვა-
ნელოების გამოცემა მთიელთა ენებზე.

**ეკატერინოდარი,** 26 ივნ. მოეწყო
გრანდიოზული საბავშო დღესასწაული,
რომელზედაც მონაწილეობა მიიღო
7.000 ბავშვმა. მსვლელობას და თამა-
შის შემდეგ ბავშვებს აჭამეს სადილი და
მისცეს საუზმე.

**ბათუმი,** 24 ივნისი. მოხალისეთა არ-
მიის ზურგში ძლიერდება ეგ. წ. მწვანე
არმიის მოქმედება. მწვანე არმიელები
მოქმედებენ ცალკე პარტიზანული რაზ-
მებით, სუდაკის მთებში, ძველი ყირიმის
მიდამოებში და იალტის გზაზე. მათ
დახმარებას უწევთ ყირიმის თათრები,
როგორც სურსათით, ისე იარაღითაც.

**ბათუმი,** 24 ივნისი. ყირიმში დიდი
ნაკლულევანებაა ნავთისა და ბენზინის.
ტრანსპორტი სრულიად მოშლილია. 96
ვერსის მანძილს მატარებელი გადის
20—25 საათის განმავლობაში. წყალსა-
დენები ძალიან ცუდად მოქმედებენ;
მცხოვრებნი ხშირად უწყლოდ რჩებიან.

**ბათუმი,** 24 ივნისი. ყირიმში მოხალი-
სეთა არმიის მდგომარეობა ძალიან არა
სახარბიელოა, რადგან ადგილობრივი
მცხოვრებნი გლეხები და თითქმის მემა-
მულეებიც პირდაპირ უარზე არიან მის-
ცენ ჯარს რაიმე სურსათი, თვით ფულ-
ზედაც. ძალით წართმევა კი ყოველად
მოუხერხებელი ხდება, რადგან ასეთი
რეკვიზიცია თავდება აჯანყებებით. ასე
რომ მოხალისეთა ჯარი იკვებება მხო-
ლოდ იმ სურსათით, რომელსაც აძლევს
მას გერმანელი კოლონისტები და სპეკუ-
ლიანტები.

**ბათუმი,** 24 ივნისი. მოხალისეთა არ-
მიის ჯარისკაცები დიდი უკმაყოფილო-
ნი არიან გენ. ვრანგელის და მთავარი
სარდლობისა, რადგან ჯარებში შემო-
ღებულია საშინელი დისციპლინა. პრაქ-
ტიკაშია არამც თუ ლანძღვა-გინება,
არამედ ცემა-ტყეპაც. სულ უბრალო სა-
ქმისთვის სამხედრო- საველე სასამართ-
ლოში აძლევენ. ძჟანკოიში ხდება ჯა-
რის-კაცების მასსიური ხვრეტა, ვი-
საც კი ბრალს დებენ წითელი არმიის
თანაგრძნობაში, ან და მოწინააღმდეგე-
თა ბანაკში გადასვლის განზრახვაში.

**მარიუპოლი,** 26 ივნისი. დაიწყეს მუ-
შაობა საპნის, ცემენტის და „ბერტო-
ლეტის“ მარილის ქარხნებმა.

**ეკატერინოდარი,** 26 ივნ. აღკრძალუ-
ლია საოლქო სასურსათო კომიტეტის
მიერ ყიდვა და გაზიდვა აღნუსხული სა-
ქონლისა. ამის გამო ბრძანება გაეცა
ყველა რკინის გზის სადგურებს დააკავონ
ყველა პირები, ვისაც აღნიშნული საქო-
ნელი აღმოაჩნდებოდა, რომ პასუხის გე-
ბაში იქნან მიცემულნი ის პირნი, ვის-
განაც მათ ექნებათ მიცემული ნებართვა.

**ბათომი,** 24 ივნისი. მოხალისეთა არ-
მიაში ძალიან გავრცელდა სპეკულიაცია.
ეს იმით აიხსნება რომ ისინი ღებულო-
ბენ მეტად ცოტა ჯამაგირებს. მაგ.
ფრონტის ჯარის კაცი ღებულობს 2000
მანეთს თვეში, ზურგში მყოფი კი
800 მან. ამის გარდა ნაწილები, რომ-
ლებიც მოსულან კავკასიიდან და შა-
ვი ზღვის სანაპიროებიდან, არ ღებუ-
ლობენ არავითარ სასურსათო დახმარე-
ბას. შედეგები ამ არა ნორმალური
მდგომარეობისა ის არის, რომ ჯარის
კაცები იტაცებენ საინტენდანტო საწ-
ყობებიდან სახაზინო ქონებას და ყი-
დიან მას ადგილობრივ მცხოვრებლებში.
ეს ხდება სრულიად აშკარად.

**ფრანგული კრესა**

ბრიუსელიდან იუწყებიან, მოკავშირე-
თა წარმომადგენლები 4 ივლისს წავლენ
სპაში კონფერენციაზე დასასწრებლად.
კონფერენცია 4 ივლისს შესდგება.

**ინგლისი და რუსეთი.**

პარიზის პრესა იუწყება რუსეთის
საქმეების შესახებ: ლონდონში წარმოე-
ბულ მოლაპარაკებას საფუძვლათ უდევს
შემდეგი: 1) ინგლისი აღიარებს საბჭო-
თა რუსეთის მთავრობას, 2) ეკონომიუ-
რი დამოკიდებულება ინგლისის და რუ-
სეთის შორის საქონლის გაცვლა-გამო-
ცვლაზე მყარდება. ანგარიშები ერთი
მეორეს ოქროთი უნდა გაუსწორონ. 3)
მთავრობა უარს აცხადებს აზიის საქმე-
ებში ჩარევაზე, 4) საბჭოთა მთავრობამ
უნდა აღიაროს დამოუკიდებლობა პო-
ლონეთის, ფინეთისა, ესტონეთისა, ლა-
ტვიისა, საქართველოსი და სომხეთისა,
რომელთა უფლებაც უზრუნველყოფილი
იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებით
5, ინგლისი უარს აცხადებს უკრაინის
აღიარებასა და მის დამოუკიდებლობი-
საკენ მისწრაფებაში დახმარებაზე. 6,
ინგლისი უარს აცხადებს ვრანგელის
დახმარებაზე.

ინგლისი წინადადებას იძლევა იშუამ-
დგომლოს პოლონეთთან ზავის შეკვრის
შესახებ. ლონდონის თათბირში მონა-
წილეობას იღებს ლოიდ-ჯორჯი, ლორ-
დი კერზონი და ბონარ-ლოუ. იმავე
პრესის ცნობით ლონდონის მუშები და
რადიკალი წრეები თანახმა არიან ამ
პუნქტების მიღებისა. ამ პუნქტებმა სა
ფრანგეთში წინააღმდეგობა გამოიწვია.
ჟიულ ჯამბოხმა განაცხადა, რომ საფ-
რანგეთი კატეგორიულად უარყოფს ამ
პუნქტებსო.

**გელსინგფორსი.** ფინეთის მთავრობამ
თხოვნით მიმართა ესტონეთის მთავრო-
ბას დართოს მას ნება მის ტერიტორია-
ზე რუსეთთან საზავო მოლაპარაკების
წარმოებისა. ესტონეთის მთავრობამ
დააკმაყოფილა თხოვნა და ასეთი ადგი-
ლად დორპატი დანიშნა.

**ბერლინი.** გერმანული გაზეთები იტ-
ყობინებიან, რომ ბერლინის მახლობლად
გაჩდა გერმანელი მახნო-მაქს მელცი,
ყოფილი დამოუკიდებელი, რომელიც
შემდეგ პარტიიდან იყო გაძევე-
ბული. ამ ჟამად მელცი სამხრეთ
საქსონიაში მოქმედებს, იგი აჩერებს მა-
ტარებლებს და ადებს კონტრიბუციას
და ბურჟუაზიას და სხვ. მელცმა შეადგინა
განსაკუთრებული „ცეცხლის წამკიდე-
ბელი კომისიები“, რომელთა მოვა-
ლეობას შეადგენს ბურჟუების სახ-
ლების დაწვა, და იმ შემთხვევა-
ში თუ მთავრობის ჯარი წამოვა მათ
წინააღმდეგ, სახელმწიფო დაწესებულე-
ბების დაწვას. ფალკენგეინში ყველა სა-
უკეთესო ქალაქთან ჯარია. მელცის ბან-
დები რამოდენიმე ათასი კაცისაგან შეს-
დგება და შეიარაღებული არიან ტყვიის-
მფრქვეველებით და ჯავშნიან ავტომო-
ბილებით.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ სწერს: წითლე-
ბთან მოლაპარაკება გრძელდება, მაგრამ
უნდა აღინიშნოს, რომ ლოიდ-ჯორჯის
მიერ აღებული პოზიცია არის უკანდა-
ხევა იმ პოზიციიდან, რომელიც მოკავ-
შირეებს რუსეთის საკითხში ეკავათ.
ლაპარაკია უკვე არა მარტო კოოპე-
რატივების შესახებ. შემდეგ გაზეთი
ასეთ საკითხს სვამს: გამოიჩენს თუ არა
საფრანგეთის მთავრობა ისეთივე ფარ-

თე შეხედულებას იმ საკითხში, როგორ-
საც ლლოიდ-ჯორჯი იჩენს? ... ჩა-
ფიქრდეს ლლოიდ-ჯორჯი ... 
ზეთი, როგორ ... 
საკვირველი გამოსვლები და ...
რივი დამეგობრება.

**ამხ. საშა წულუკიძის მოსაგო-
ნებელი სამოქალაქო პანაშვიდი
ქ. ხონში**

კვირას 27 ივნისს საშა წულუკიძის
საფლავზე, მის გარდაცვალების დღიდან
15 წლის აღსანიშნავათ, გაიმართა ქუ-
თაისის საგუბერნიო და ადგილობრივი
კომიტეტის მიერ მოწყობილი სამოქა-
ლაქო პანაშვიდი. მიუხედავათ წინა ღა-
მის დიდი წვიმისა, პანაშვიდს ბლომათ
დაესწრო ხალხი და ისეთი შემადგენ-
ლობის, როგორიც შეეფერებოდა უდ-
როვოთ დაკარგული პროლეტარული
კლასის მებრძოლის ხსოვნას. თითქმის
სამი მეოთხედი სოფლის მუშები, შრო-
მის შვილები იყვენ, დანარჩენიც პარ-
ტიული მოღვაწე-ინტელიგენტები, არ
სჩანდენ ხონში ასეთ შემთხვევებში ჩვეუ-
ლებრივი და აუცილებელი ვაჭრები,
არც სასეიროთ გამოსული ქალები ფე-
რადი ქოლგებით. პარტიულ ბიუროს
სადგომიდან პროცესია წითელი დროშე-
ბით და საშას სურათებით გაემართა
შუადღისას საფლავისაკენ. პანაშვიდი
გახსნა და ადგილობრივი კომიტეტის
სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ქა-
ცარავამ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის
სახელით სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ.
მახარაძე, რომელმაც პირადი მოგონე-
ბებით გააცნო მსმენელებს უდროვოთ
დაკარგული მებრძოლის დიდ ბუნებოვა-
ნი პიროვნება.

საგუბერნიო კომიტეტის სახელით
სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მამია ორახე-
ლაშვილმა, რომელმაც მოიგონა რა ამხ.
საშას ლიტერატურული მოღვაწეობა და
ბრძოლა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას,
რომ მისი მჭრელი ლიტერატურული
ისრები, ნასროლი ნაციონალისტების
ბანაკში, დღეს ხვდებიან ყოფილ სო-
ციალისტებს, მენშევიკებს.

შემდეგ გამოვიდა თბილისის მუშე-
ბის სახელით ძველი მუშა ფირცხა-
ლაიშვილი, რომელმაც გააცნო კრე-
ბას პირადი შთაბეჭდილებანი ამხ. სა-
შასთან ურთიერთობიდან გამოტანილი.
სიტყვები წარმოსთქვენ აგრეთვე: ქუ-
თაისის საქალაქო კომიტეტის წარმო-
მადგენელმა, ამხ. კალანდაძემ, პროფ.
კავშირებთან არსებულ კომუნისტ-მუშე-
ბის ცენტრის, სამტრედიის რაიონული
კომიტეტის, ფოთის კომიტეტის და სხ.
სიტყვით გამოვიდა ადგილობრივ სოც.-
რევოლიუც. წარმომადგენელიც.

გურიის პარტიულ ცენტრის პრეზი-
დიუმმა შემოთვალა, რომ პატივსადებ
მიზეზის გამო დელეგატის გამოგზავნა
ვერ მოასწრო.

მენშევიკების წარმომადგენელიც იყო
პანაშვიდზე —ქუთაისიდან საგანგებოთ
მოსრიალდა ავტომობილით მაზრის მი-
ლიციის უფროსი პანაშვიდზე დასასწ-
რებლათ...

პანაშვიდის გათავების შემდეგ პრო-
ცესია გამობრუნდა უკან რევოლიუციო-
ნურ სიმღერებით; პარტიულ ბიურო-
თან რამდენიმე სიტყვის მოსმენის შე-
დეგ პანაშვიდის მონაწილენი დაიშა-
ლენ.

უბრალო ფორმით, მაგრამ მხურვალე
გულით და წრფელი გრძნობით მოიგო-
ნა ხონის რაიონის ღარიბ-ლატაკობა
თავისი მებრძოლი.

**მ. ქ.**

# მუშათა წერილები.

საღღეისო კითხვა.

ზოგიერთი მუშა ამ ბოლო დროს პირ-
დაპირ აყენებს კითხვას, თუ უპირველესა-
დ რა უნდა დაისახონ მუშებმა მიზნათ: ერი-
(ნაციის) თუ თავისი კლასობრივი ინტე-
რესი? მე მინდა ამაზე ჩემებური პასუ-
ხი მივსცე, როგორც ამას საკუთარი და-
კვირვება მიკარნახებს.

ყოფილ ქვეყანაში მუშათა კლასი თა-
ვის შემადგენლობით ინტერნაციონალუ-
რია. სხვადა სხვა ნაციის მუშები სწყდე-
ბიან თავის ერს, ებმებიან ერთნაირ
ეკონომიურ უღელში და სწორეთ ეს
ერთნაირი ეკონომიური პირობები, ერთ-
ნაირი როლი წარმოებაში ხდის ამ სხვა

და სხვა ერის შვილებს, სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკეებს, სხვა და სხვა ტომის რასის ჩამომავლებს ერთ კლასათ, რომელსაც შეიძლება ერთნაირი ქონდეს მხოლოთ კლასობრივი და არა ეროვნული ინტერესები. ეროვნული ინტერესები მუშებს ერთმანეთიდან სთიშავს და თავ-თავის ერის გაბატონებულ კლასებთან აკავშირებს. კლასობრივი ინტერესები კი მათ აკავშირებს ერთკლასათ და სთიშავს მათ თავ-თავის ერის გაბატონებულ კლასებიდან.

ერი კი ორი მოწინააღმდეგე კლასისაგან შესდგება: მდიდარი და ღარიბისაგან; მათი ინტერესები სხვა და სხვაა, და ისინი ვერ ეთანხმებიან ერთმანეთს, მიუხედავათ იმისა, რომ ორივენი ერთი მოდგმისაა და ერთი მამულის შვილები არიან. მათი ასეთი დანაწილება შედეგია კაპიტალისტურ მეურნეობისა, სადაც ერი ეკონომიურ ცხოვრებაში მდიდართა კლასია გაბატონებული, და იგივე კლასია ბატონი პოლიტიკაშიაც. ამნაირათ ეს მუქთახორები ექცევიან ერის სათავეში და ატარებენ თავის სასარგებლო პოლიტიკას ერის სახელით; თავის ინტერესებს ერის ინტერესათ სახავენ; ამას იმიტომ სჩადიან, რომ ხალხს დაანახვონ, ვითომ მუშებიც მათი ძმებია, ერთი მამულისშვილებია და ამიტომ მათი ინტერესები საერთოა, ერის და მამულის დაცვა და სხვა ასეთი ლამაზი სიცრუე მათ საშუალებას აძლევს, რომ მშრომელთა მასსა გამოიყენონ ყურმოჭრილ მონათ თავისი ინტერესების გასატარებლათ, და ამავე დროს თავისავე მოძმე მამულის შვილებს, მუშებს, ხდიან მსხვერპლათ სპეკულიაციის, ექსპლოატაციისა და მონობისა.

ამიტომაა, რომ თანამედროვე ერის მიზანი და პოლიტიკა არის წმინდა ბურჟუაზიული, და ეს ასეც უნდა იყოს, სანამ ერის სათავეში ბურჟუაზია სდგას.

სულ სხვაა, როდესაც ერის მესვეურათ მუშათა კლასი დგება. ის მაშინ სპობს ბურჟუაზიულ ურთიერთობას ერის ეკონომიურ ცხოვრებაში, დაამყარებს შრომის სამეფოს, სადაც არ ექნება ადგილი, წინანდებურად, ადამიანთა ადამიანის მიერ ყვლეფას და დამონებას; ამით ისპობა კლასთა არსებობა თვით ერში, რაიცა შედეგი იყო ეკონომიურ უთანასწორობისა. ეს მაშინ მოხდება, როდესაც მშრომელთა კლასი გამოაცხადებს თავის დიქტატურას, და ხელში აიღებს მთელ პოლიტიკურ ძალა-უფლებას, რომლის საშუალებით ის დათრგუნავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, რის მსხვერპლი აქამდე ხდებოდა მუშათა კლასი.

აი სწორედ ამ დღიდან ის იქნება მშრომელთა ერი, მისი ეროვნული ინტერესი იქნება ამავე დროს ინტერნაციონალური და მისი მიზანი—სოციალიზმი. ასე რომ, მანამდე ერში კლასთა დანაწილებაა, მათში არ იქნება საერთო იდეალი და მისწრაფება; განა შეიძლება ერთმანეთში მებრძოლ კლასთა შორის იყოს საერთო ინტერესი და საერთო მიზანი?

როდესაც ერთი მამულიშვილთაგანი მდიდარია და ფუფუნებაში და განცხრომაში ატარებს დროს, მას არა აკლია-რა გარდა ჩიტის რძისა, მის განკარგულებაშია ყოველგვარი კულტურული საშუალებანი მათი გონების და გრძნობის დასატკბობათ და დასამშვიდებლად, ხოლო ამავე დროს, მის გვერდით, მეორე წევრი იმავე ერისა წელში მოხრილა განუწყვეტელი შრომისაგან და ცოლშვილიც ვერ დაუპურებია—სადაცაა შიმშილით სულით ამოხდება, და მისი შვილები გავერანებულ, უსწავლელ-განუვითარებელ ბეცათ რჩებიან, ამ დროს განა შეიძლება მდიდარ და ღარიბ მამულის შვილთა შორის იყოს საერთო ეროვნული იდეალი მხოლოთ იმიტომ, რომ ისენი ეკუთვნიან ერთ ეროვნებასა?: არა და არა. ჩვენ, მუშები, თანამედროვე ერს, ეროვნობას, ბიოლოგიურ-რასობრივი თვალსაზრისით კი არ უნდა ვუყურებდეთ, არამედ სოციალური თვალსაზრისით; იგი უნდა განვიხილოთ როგორც კომპლექსი ორი მოწინამდეგე კლასისა, წარმომდგარი ერთი მასიდან, რომელთა სოციალურ მდგომარეობას არასფერი აქვთ საერთო ერთმანეთან, გარდა განუწყვეტელი წინააღმდეგობისა.

ამიტომ მათი იდეა ერზე და სამშობლოზე სხვა და სხვა შინაარსისა.

მესმის, როდესაც გაბატონებული კლასი ეროვნებასა და სამშობლოზე გაიძახის. მისი სამშობლო იგივეა, რაც მისი ვიწრო კლასი, ესე იგი ის საზღვარი რომლისა შინა ის ეწევა—სპეკულიაციას, ჩარჩობას, და ექსპლოატაციას, რომლის საშუალებით ის გრძელ ჯიბეებს ისქელებს, რომ განცხრომით იცხოვროს. ამ შემთხვევაში მან არ იცის არც მამულიშვილური გრძნობანი და არც სამშობლოს სიყვარული. და თუ ვინმე შეეხო მათს პირად ბედნიერებას, მაშინვე დაიყვირებენ,—სამშობლო იღუპებაო,—როგორც დღეს ყვირის რუსეთის ბურჟუაზია; მართლაც, მისი სამშობლოს დაღუპვაა, ვინაიდან რუსეთის მშრომელმა კლასმა გამოგლიჯა მას ხელიდან კაპიტალი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა ეცხოვრა მშრომელთა ოფლით.

მაშ კითხვა დგება: დღევანდელი სამშობლო ვისი სამშობლოა? თავისთავათ ცხადია, მდიდრებისა, სადაც ისინი გაბატონებულნი არიან ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, რის მეოხებით ისინი ტყავს აძრობენ თავის მამულის შვილ მუშათა კლასსა. ყველა ეს დაკანონებულია მათივე კანონით, რომ ერთმა ცარცოს მეორე. მუშას—კი აქ ადგილი არ ურჩება, ის სტოვებს თავის „სამშობლოს“ და მიდის სადღაც შორს ლუკმა პურის საძებნელათ. მაშასადამე, მუშის სამშობლო ჯერ არაა, ის მაშინ იქნება, როდესაც იგი რკინის ცოცხით გაწმენდს პარაზიტებისაგან იმ ადგილს, „სადაც შობილა, გაზდილა და ურბოლია ისარი“ და იქ დაამყარებს შრომის სამეფოს, სადაც არ ექნება ადგილი ჩაგვრასა და მონობასა,—სადაც ერის კულტურა და სიმდიდრე გადავა მისი შემქნელ მშრომელთა მასსის ხელში.

აი ასეთია მუშის სამშობლო, რომელსაც ქვია სოციალიზმი. ის ამას მაშინ მიაღწევს, როდესაც მუშათა კლასი გამოაცხადებს თავის დიქტატურას და ხელში აიღებს პოლიტიკურ ძალა-უფლებას საბჭოების სახით.

აი სწორეთ აქეთკენ უთითებს კომუნისტური პარტია მთელი ქვეყნის მუშათა კლასსა.

მგონია, ზემო ნათქვამის შემდეგ, ნათელი და გარკვეულ უნდა იყოს, თუ უპირველესათ რა უნდა დაისახოს მუშათა კლასმა მიზნათ: თანამედროვე-ბურჟუაზიულ ერის თუ თავიანთი კლასობრივი ინტერესები.

**პარმენ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ

„საქ. კომ.“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას ავსებით ნაყოფიერათ, როცა ისსრაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „საქ. კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყვნენ შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**ბორჯომი.**

ჩვენი პარტიის ცხოვრება დღიდან ლეგალიზაციისა ნათელ გზაზედ გამოვიდა და მიდუნებული მაჯის ცემა დღეს უფრო მეტათ ამოძრავდა და სიცოცხლის ელფერი დაედო. წესიერების დამცველთა სისასტიკით პარტიის ცხოვრების გადაყინულმა ზედაპირმა ნაპრალები გაიკეთა და მათში ამოხეთქილი სიცოცხლით სავსე ნაკადნი მხიარულათ აუღილინდენ მშრომელთა კერას და შრომის სამსხვერპლოებს.

პირველი სხივი, პირველი იმედი საჯაროთ სოციალიზმისათვის ბრძოლის ნუგეშებისა ბორჯომის რაიონს ამცნო იმ ამხანაგებმა, რომელთაც თვისი თანდასწრებით მწყობრათ ჩაატარეს ხაშურის რაიონული კონფერენცია.

22 თიბათვემდის იყო მხოლოთ ჩუმი მზადებითი მუშაობა, ამ დღეს კი აქ მოხდა საჯარო კრება მოწინავე ამხანაგებისა და გამოირკვა, რომ მთელი ხეობები, რომელნიც ერთვიან ამ რაიონულ ცენტრს, ერთი სურვილით, ერთი ალტაცებით მოელიან იმ დროს, როდესაც საჯაროთ გაიმართება მიტინგი და ძველს „ამხანაგებს“, ახალ გზით—ბურჟუებთან დაძმობილებით რომ სურთ ჩვენი გაბედნიერება—პირის პირ შეხვდებიან იმის სათქმელათ, თუ რა კეთდება მაშინ, როდესაც მუშა თვით განაგებს თვის ბედს.

მცირე კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ საჯარო მიტინგების ძართვის დრო ჯერ არ არის, დღეს ჩვენ გვჭირდება დანგრეული ორგანიზაციის განახლება, გაძლიერება, მომავალი სიზდის მოწყობა და პროპაგანდა—აგიტაციით შექმნა ისეთი კადრებისა, რომელნიც მკვიდრ ნიადაგათ დაედება მომავალ ჩვენს ფართო მუშაობას.

კრებამ ყურადღებით მოისმინა ამხ. გ. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და თამედროვე მომენტის შესახებ; ითათბირა მმართველი პარტიის ორჭოფულ პოლიტიკაზედ, და შემდეგ აზრთა გაშუქებისა, ერთხმათ იქმნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„ბორჯომის რაიონის ს. კ. პარტიის მოწინავე ამხანაგთა კრებამ, რომელიც მოხდა 22 ივნისს და შესდგებოდა 60 ამხანაგთაგან, განიხილა რა ამხ. გ. მოხსენება საეროაშორისო მდგომარეობის და თანამედროვე მომენტის შესახებ; გაიცნო რა ჩვენი პარტიის ლეგალიზაციის წარმომშობი პირობები და საორგანიზაციო საკითხები; სცნო რა საჭიროთ, რომ მასსის იმედების გასამართლებლათ საჭიროა ყოველმა ამხანაგმა გულმხურვალეთ მოჰკიდოს ხელი პარტიულ მუშაობას, დაადგინა: დღევანდელი მომენტი მოითხოვს მკვეთრს, პირდაპირს და პროლეტარულ პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელებას და ამას მხოლოთ ჩვენი პროლეტარული პარტია აწარმოებს, რომ პროლეტარული სახელმწიფო თვისი საბჭოებით, და არა პარლამენტარული გზით, გამოსჭედს მშრომელი კაცობრიობის ბედნიერებას—სოციალიზმს, რომლის წინაშეც დღეს ჩვენც სხვა ერებთან ერთად წამდგარი ვართ; სალამს უძღვნის ს. კ. პ. ც. კ., მოუწოდებს ყველა ამხანაგებს გაასკეცებული მუშაობისაკენ, რათა მე-III კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თვისი ძლევამოსილი ბრწყინვალე დროშა მალე აღმართოს მთელს მსოფლიოზედ.

გაუმარჯოს მე-III კომ. ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კრებამ თვისი თავი რაიონულ კონფერენციათ გამოაცხადა, ამოირჩია დროებითი ხელმძღვანელი კოლექტივი, რომელმაც უნდა იმუშაოს სიეზდის მოწვევამდე, მან გადასწყვიტა დაარსდეს ოფიციალური ბიურო და დაიშალა იმ დავალებით, რომ ყველამ ერთად ხელი შეუწყონ საქმის ნაყოფიერებას.

**გიო ქართლელი.**

**გარე-კახეთი.**

საგარეჯოს შესდგა რაიონული კრება კომუნისტებისა. კრების გახსნისას ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამხ. საშა წულუკიძის ხსოვნას. არჩეულ იქნა თავმჯდომარე და მდივანი, შემუშავდა დღიური წესრიგი:

1) მოხსენება ცენტრიდან, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) იაჩეიკების განახლება, 4) დროებითი კომიტეტის არჩევა, 5) ბინის საკითხი, 6) კონფერენციაზე დელეგატის არჩევა, 7) ამხ. საშა წულუკიძის ხსოვნის აღნიშვნა და 8) გაზეთ „საქართ. კომუნისტის“ ფონდის გაძლიერება.

მოხსენება გააკეთა წარსულ მუშაობაზე ამხ. სიკო გოგიშვილმა; ილაპარაკეს სხვა ამხ. ადგილებიდან და მომენტზედ. მოუწოდებდნენ ერთსულოვან მუშაობისაკენ.

იაჩეიკების შესახებ დაადგინეს: შეუდგნენ მთელი ძალის აღდგენას, შეიკრას მთელი გარე-კახეთი, დაარსდეს ყველგან კომიტეტები. დრ. კომიტეტი არჩეულ იქნა სამი ამხანაგისაგან, რომელთაც დაევალათ ყოველივე საქმის წარმოება ფართე კრებამდე. ბინის საკითხი მიანდვეს დრ. კომიტეტს. დელეგატის არჩევა კონფერენციისათვის გადაიდო მომავალ კრებამდე. ამხ. საშა წულუკიძის ხსოვნის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგანაც ბევრი ამხ. გაბნეულია ფრონტებზე და სამუშაოდ მინდვრებში, სასურველად მიიჩნიეს მოახდინონ სამოქალაქო პანაშვიდი მომავალში, რაც გამოცხადდება.

გაზეთ „საქ. კომუნისტის“ ფონდისათვის დაადგინა გაიწეროს ყველამ გაზეთი; რასაც ღებულობდა ის განაწილდა. დრ. კომიტ. დაევალა მოიწვიოს მალე ფართო კრება, დაგზავნოს ყველა კუთხეში რწმუნებულები ორგანიზაციების დასაარსებლად.

**ჯგუნჯი.**

## ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**ბორჯომი.**

ამას წინათ ჩალხის წყალზე ერთი მეტათ შემაძრწნებელი შემთხვევა მოხდა. მუშაობის დროს სიმშილით სინსილა გამოლეულ მუშას ხელიდან წაუვიდა სახერხი მასალა და შეიქმნა მსხვერპლი ამ გარემოებისა; მომაკვდავი ითხოვდა ერთი გაეძლოთ და ისე მიეცათ მისთვის საშუალება მიწას მიჰბარებოდა.

გამოირკვა, რომ ორი დღის სიმშილით დასუსტებული იგი შეიქმნა მსხვერპლი ამ უბედურებისა.

**გიო ქართლელი.**

**ქ. ახალსენაკი.**

ვინ არ იცის, რა ჯოჯოხეთურ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა ახლო წარსულში, იძულებული ვიყავით ღამღამობით ჯურღმულებში იატაკ ქვეშ გვემუშავნა. ამ ჟამათ პირობები ცოტათ შეიცვალა, თუმცა ახლაც არ გვაკლებენ მზვერავები მათ მაღალ ყურადღებას.

აი რა ხრიკებს მიმართავენ ჩვენთან ბრძოლაში ჩვენი მოწინაალმდეგეები. ისინი ჩადიან სოფლათ და ხალხს უცხადებენ: ჩამოვიდა ბალშევიკების წარმომადგენელი და თხოულობს, რომ მას მოუსმინონ. როდესაც გახარებული გლეხობა მიდის ყრილობაზე, რომ მოისმინოს აქამდე დევნილი პარტიის წევრის მოხსენება, ის გაკვირვებული რჩება, რადგან ბალშევიკების ნაცვლათ მენშევიკი ორატორობს, ლანძღავს ბალშევიკებს და ათავებს მუქარით, რომ ვინც ჩაეწერება ბალშევიკების პარტიაში, ის აუცილებლათ დაჭერილი იქნებაო; მათი განცხადებით მთელი ეს დღევანდელი მუშაობა იმისთვის არის დაშვებული, რომ შესაძლებელი იქნეს გამოაშკარავება ვინ არიან ბალშევიკები, მერე კი შესაფერი ზომები მიიღონ. არის შემთხვევები ასეთი მუქარის: დამშეული ბალშევიკის ოჯახს სიმინდით დახმარება არ მიეცემა და სხვა. არის შემთხვევა, რომ ოჯახისათვის უთქვამთ: თქვენ ბალშევიკი გყავთ შვილი და რუსეთი გამოუგზავნის პურსო. ასეთი საშუალებებით, ასეთი ხმების გავრცელებით, ხალხის შეშინებით იწყებენ მენშევიკთა აგენტები თავის მუშაობას, ამით უნდათ ჩამოგვაშორონ აუარებელი თანამგრძნობები, აფრთხობენ მათ, მაგრამ ყოველივე ეს ცდა უნაყოფოთ ჩაუვლის მათ, თუ კი ჩვენ დაუპირდაპირებთ მათ ჩვენს ენერგიულ მუშაობას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ შექმნილი მდგომარეობით და გაასკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ ჩვენი ორგანიზაციების დასაარსებლათ და გასამაგრებლათ.

ბრძოლა გვჭირდება ლეგალური არსებობისთვის, რადგან ასე ადრე ვერ შეეგუებიან მას ჩვენი მტრები. საჭიროა მომზადება ახლო მომავალში სამაზრო, საგუბერნიო და საერთო პარტიული კონფერენციებისათვის; დაყოვნება არ შეიძლება. ენერგიულ მუშაობისაკენ! ჩვენი მოპირდაპირე—მტრებიც კი იღებენ მაგალითს ჩვენი გმირი რუსეთელი ამხანაგებისაგან და, მით უმეტეს, ჩვენ გვმართებს ეს. სამუშაო ბევრია დრო კი ცოტაა, მომენტი კი მეტის მეტათ საპასუხისმგებლო.

**ბეგო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „საქ. კომუნისტის

სალამი „საქართველოს ... ჩვენ
რა საქ. კომუნისტური პარტიის ...
ბია თავისი ორგანო „საქ. კომუნის...
ჩვენ დუშელი გლეხები, რომელნიც
ყოფებით საგუბერნიო ციხეში № 1
პატიმარნი, აღფრთოვანებით ვეგებ...
„საქ. კომუნისტის“ გამოსვლას, როგ...
გაზაფხულის პირველ მერცხალს,
ღვნით სალამს და ვიმედოვნებთ, რო...
გაამართლებს საქართველოს მუშები...
გლეხების მოწინავე ნაწილის დიდი
ნატვრას და გადაიქცევა ჩვენი ცხო...
ბის მაშუქებელ ვარსკვლავათ.

გიგზავნით ჩვენ შორის შეკრე...
წვლილს. შემომწირველთა სია: 50
ღვინიაშვილი სანდრო, 50 მ. საძა...
შვილი სოლოლა, ღუდუშაური სან...
კვახაძე მიშა, ზარდიაშვილი ლევან:
სამი თუმანი: ხერკელაძე დათიკომ,
მაშვილი მიტ., მამულაშვილი სანდრ...
ირემაშვილი კოლამ, ირემაშვილი
ლამ, მუზაშვილი ვანომ, ლაღაძიშ...
პეტრემ, ხუციშვილი ბაგრატამ. 25
თვალმიხილაშვილი ვანომ, მიშლდაშ...
გიორგიმ; ოც-ოცი მანეთი: ზარდია...
ლი ილიკომ, პატატაშვილი ისაკამ...
ათი მანეთი: აბაშვილი აბრამამ, მე...
კოლამ, გაბარაშვილი ნონემ, სოლო...
ლი ვასომ, ასლანაშვილი არსენამ, ...
დიყაშვილი საშამ, ელყენაშვილი გ...
ელყენაშვილი ილომ, ზარდიაშვილი
გამ, მიქელაშვილი პეტრემ, მუსარაშ...
ვანომ, მეტრეველმა მიხეილ, ჩიბუხაშ...
ვანომ, გორხელაშვილი ვანომ, ნაც...
შვილი ვანომ, მიშელაშვილი გიორ...
ხუთ-ხუთი მანეთი: აბელაშვილი სი...
მუშაშვილი ბესარიონმა, ქერდიყაშ...
ბიძიმ, ქარქუსაშვილი იასონმა,
შვილი გიომ. სულ 765 მან.

გთხოვთ უმორჩილესათ, მიიღოთ
გან ჩვენი უმნიშვნელო დახმარება
„საქ. კომუნისტის“ სასარგებლოთ. ...
ეკონომიურათ შევიწროვებული ...
მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მ...
მზათ ვართ ყოველნაირი შანაგრძ...
სათვის, ვინაიდან გაზეთ „საქარ. კ...
ნისტს“ თავისი თანამშრომლებით ვც...
სამართლიანობის დამცველათ და
თანავე გისურვებთ გამარჯვებას უს...
თლოების წინაალმდეგ. გიგზავნით
შორის შეგროვილ 800 მანეთს.

**ელექტრო-ტეხნიკებ...**

ქ. ჭიათურიდან მივიღეთ გაზ. „ს...
კომუნისტის“ ფონდის გასაძლიერე...
ჭიათურის ამხანაგებ შორის შეკრ...
2142 მანეთი.

თბილისის კომუნისტური ორგ...
ციის პირველი რაიონის ბიურო მ...
სებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135
და პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7
საათამდე.

თბილისის კომუნისტური ორგ...
ციის მეოთხე რაიონის ბიურო ...
ბით მოთავსებულია რუსთაველის ...
გომში, სადაც სწარმოებს ახალი ...
ბის ჩაწერა და ძველი წევრების ...
ტრაცია. ბიურო ღიაა დილის 1...
თიდან ნაშუადღევის 1 საათამდე ...
ღამის 4 საათიდან 7 საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებო**

მეორე რაიონის ს. კ. პ.
დროებით გადავიდა ტატიანის...
დან რუსთაველის სადგომში. მიდ...
ველ დღე დილის 10 საათ.—1...
თამდე და საღამოს 5—7 საათამ...

**მესამე რაიონის ს. კ. პ.**
დროებით მოთავსებულია რუ...
სადგომში, სადაც სწარმოებს ...
და ძველი წევრების რეგის...
ბიურო ღიაა დილის 10 ნახ.
ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ
5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის
ლი კომიტეტისა მოთავსებული...
სტე ებრალიძის შენობაში (მუშ...
ნში), აქვე მოთავსებულია ...
გურიის კომიტეტი საქართველ...
გაზდათა კომუნისტური პარტი...

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდ...**